

შპს ჯეოკეპ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობა	3
საქმიანობის შედეგები	5
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	7
ზოგადი ინფორმაცია	8
კონსოლიდაციის საფუძვლები	8
მომზადების საფუძვლები	9
გადასახადები	10
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11
იჯარა	11
სავაჭრო ვალდებულებები	11
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	11
დივიდენდები	12
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები	12
საექვო ვალების ანარიცხები	13
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	14
რისკების მართვა	15
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17
ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	192227	219366	70452
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2280451	3896919	1974277
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	7964477	0	0
მარაგები		2633073	1516408
მზა პროდუქცია		0	0
სხვა	4148827	2633073	1516408
საინვესტიციო ქონება		0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	342235	0	0
ბიოლოგიური აქტივები		0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0
გადაფასების მოდელით		0	0
გუდვილი		0	0
სხვა არამატერიალური აქტივები		0	0
ძირითადი საშუალებები	16044466	5640657	2419839
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	275850	1728171	5571055
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0
სულ აქტივები	31248533	14118186	11552031
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება		0	797526
სავაჭრო ვალდებულებები	4611510	41344	0
ანარიცხები		0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0
საგადასახადო ვალდებულებები		0	79509
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1021985	102221	1962611
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	17483494	7990749	5436600
მიღებული გრანტები	1882437	0	0
სხვა ვალდებულებები	2960664	0	0
სულ ვალდებულებები	27960090	8134314	8276246
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	3933051	7105738	7085755
საემისიო შემოსავალი		0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-644608	-1121866	-3809970
გადაფასების რეზერვი		0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	3288443	5983872	3275785
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	3288443	5983872	3275785
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	31248533	14118186	11552031
სულ მოკლევადიანი აქტივები	14928217	9382431	5077545
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5633495	143565	8276246

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	192227	219366	70452
სადაქრო და სხვა მოთხოვნები	2280451	3896919	1974277
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაღებული ფულადი სახსრები	7964477	0	0
მარაგები		2633073	1516408
მზა პროდუქცია		0	0
სხვა	4148827	2633073	1516408
საინვესტიციო ჯონგა		0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	342235	0	0
ბიოლოგიური აქტივები		0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0
გადაფასების მოდელით		0	0
გუფილი		0	0
სხვა არამატერიალური აქტივები		0	0
ძირითადი საშუალებები	16044466	5640657	2419839
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	275850	1728171	5571055
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0
სულ აქტივები	31248533	14118186	11552031
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება		0	797526
სადაქრო ვალდებულებები	4611510	41344	0
აპრობები		0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0
საგადასახადო ვალდებულებები		0	79509
გაბოჭილი შედეგები		0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1021985	102221	1962611
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	17483494	7990749	5436600
მიღებული გრანტები	1882437	0	0
სხვა ვალდებულებები	2960664	0	0
სულ ვალდებულებები	27960090	8134314	8276246
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კომპანიატვის შემთხვევაში 'სააქციო კაპიტალი')	3933051	7105738	7085755
საუბნისო შემოსავალი		0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-644608	-1121866	-3809970
გადაფასების რეზერვი		0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	3288443	5983872	3275785
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	3288443	5983872	3275785
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	31248533	14118186	11552031
სულ მოკლევადიანი აქტივები	14928217	9382431	5077545
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5633495	143565	8276246



საქმიანობის შედეგები			
საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	14271371	9730982	6663091
საქონლის გაყიდვიდან	14271371	9730982	6663091
მომსახურების გაწევიდან		0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0	0
სხვა		0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-11503324	-6249343	-4416338
საწყისი მარაგები		0	0
მარაგების შესყიდვა		0	0
გაღამუშავების დანახარჯები		0	0
საბოლოო მარაგები		0	0
საერთო მოგება	2768047	3481639	2246753
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1581080	25908	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-144071	0	0
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-2701641	-3023641	0
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი	-2297998	-1868499	-329787
იჯარის ხარჯი	0	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1079579	-1292643	-2479946
სულ საოპერაციო ხარჯები	-6223289	-6158875	-2809733
საოპერაციო მოგება	-1874162	-2677236	-562980
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		0	0
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-821267	5365340	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-2695429	2688104	-562980
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-2695429	2688104	-562980
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-2695429	2688104	-562980
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	-2695429	2688104	-562980
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)		0	0
მოგება / (ზარალი)	-2695429	2688104	-562980
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	-2695429	2688104	-562980
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-2695429	2688104	-562980
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5983872	3275785	-745815
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0	4584580
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		19983	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3288443	5983872	3275785

საქმიანობის შედეგები			
საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	14271371	9730982	8663061
საქონლის გაყიდვიდან	14271371	9730982	8663061
მომსახურების გაწევიდან		0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0	0
სხვა		0	0
გადაღების თვითღირებულება	-11503324	-6249343	-4416338
ნაშყისი მარაგები		0	0
მარაგების შესყიდვა		0	0
გადაღების ტანსაცმელი		0	0
საბოლოო მარაგები		0	0
საერთო მოგება	2768047	3481639	2246723
სხვა საბუღალტრო შემოსავალი	1381080	25908	0
დასაქმებულით ანაზღაურება	-144071	0	0
ქრედიტ / ამორტიზაციის ხარჯი	-3701641	-5023641	0
სამრეწველო შემოსავალი		0	0
სამრეწველო ხარჯი	-2297098	-1888499	-329787
რეკლამის ხარჯი	0	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საბუღალტრო ხარჯი	-1079279	-1292643	-2479946
სულ საბუღალტრო ხარჯები	-6223289	-6158873	-2809733
საბუღალტრო მოგება	-3874162	-2677236	-562980
გადასახდების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გადასახდების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარაგების გაღება / აღდგენა		0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გადასახდების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
წმინდა შემოსავალი / (დასაქმებული) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო საბჭოების გადასახდებიდან		0	0
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაბუღალტრო შემოსავალი / (ხარჯი)	-821267	3365340	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახდის ხარჯებზე განჭიმობითი ოპერაციებიდან	-2695429	2688104	-562980
მოგების გადასახდის ხარჯი		0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-2695429	2688104	-562980
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადასახდის ჩვენური		0	0
სხვა (მათ შორის წილი ურთიბლივი და შეკავშირე საწარმოების ურთივი ქონების გადასახდის ჩვენური და დადგენილ გადასახდელთან პროფიტების)		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მილითანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-2695429	2688104	-562980
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:			
მილითანი საწარმოს შიდაკონტროლებზე მისაღები შედეგი (ზარალი)	-2695429	2688104	-562980
არამაკონტროლებზე წილებზე მისაღები შედეგი (ზარალი)		0	0
მოგება / (ზარალი)	-2695429	2688104	-562980
მილითანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:			
მილითანი საწარმოს შიდაკონტროლებზე მისაღები შედეგი (ზარალი)	-2695429	2688104	-562980
არამაკონტროლებზე წილებზე მისაღები შედეგი (ზარალი)		0	0
მილითანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-2695429	2688104	-562980
საერთო კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5983872	3275785	-745815
ახალი აქციების გამოშვება (მას-ს შემთხვევაში "კაპიტალის გაზრდა", კონსტრუქციის შემთხვევაში "სადასო კაპიტალის გაზრდა")		0	4584580
განაწილება შიდაკონტროლებზე (მათ შორის დივიდენდები)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		10983	0
საერთო კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3288443	5983872	3275785



ფულადი სახსრების მოძრაობა			
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	5083767	11044192	484296
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-2810913	-12144576	-25697
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-2260993	1857420	-672400
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	11861	757036	-213801
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-39000	-608122	8905
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	219366	70452	275348
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	192227	219366	70452

შპს „ჯეოკეპ“

შპს ჯეოკეპ (ს/კ 405047818), შემდგომში კომპანია, დაარსდა 2014 წლის 13 ივნისს. კომპანიის წილის მფლობელები არიან გიორგი ჯამრიშვილი (პ/ნ 01009002919 - 40%), შპს ბუმბა (ს/კ 208156591 - 20%) და შპს გაზელ ფაინენს ჯორჯია (ს/კ 404540001 - 40%). კომპანიის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს პლასტმასის საცობების წარმოება და რეალიზაცია.

კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, ორხევის დასახლება, გივი ამილახვრის 17.

შპს „ჯეოკეპი“ 2022 წელს იყო შპს „ჯამპლასტის“ 60% წილის მფლობელი.

2022 წლის განმავლობაში კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებებში აღნიშნულ იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიას: შპს ჯამპლასტი. მშობელი და შვილობილი კომპანიების საქმიანობას წარმოადგენს პლასტმასისა და ალუმინის საცობების წარმოება და რეალიზაცია.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას ჯგუფის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა COVID-19 პანდემიის გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობის და მის საქმიანობაზე მომავალში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ COVID-19-ის აფეთქება პანდემიად გამოაცხადა 2020 წლის მარტში. პანდემიასთან გამკლავებაში მთავრობების მოქმედება და რეაგირება გავლენას ახდენს საზოგადოების, ზოგადად ეკონომიკის და შესაბამისად, ბიზნესის საქმიანობაზე. პანდემიის განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე. 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის პანდემიის მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის ოპერაციებზე, ფულადი სახსრების მოძრაობებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. ჯგუფი რჩება მომგებიანი საანგარიშო წლისთვის. მას ასევე აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანია

შვილობილი არის კომპანიის მიერ კონტროლირებადი ინვესტირებული საწარმო. ინვესტორი იმ შემთხვევაში აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და, ასევე, ამ შემოსავლებზე ზემოქმედების შესაძლებლობა. ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შილობილის ფინანსურ ანგარიშგებებს მათი (შვილობილების) კონტროლის დაწყების თარიღიდან კონტროლის დამთავრების თარიღამდე.

შპს ჯეოკეპის შვილობილი, რომლებიც შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არის:

	შპს ჯეოკეპის	შპს ჯეოკეპის
დასახელება ქვეყანა, სადაც კომპანია ძირითადად საქმიანობს	წილის ფლობა	წილის ფლობა
	31.12.2022	31.12.2021
შპს ჯამპლასტი საქართველო	60%	20%

კომპანია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად იღებდა შვილობილის შემოსავლებს და აკონტროლებდა მის წმინდა აქტივებსა და საოპერაციო აქტივობებს. 2022 წლის 24 იანვრის მდგომარეობით შპს ჯეოკეპმა არსებული 60%-იანი წილი დააკლასიფიცირა, როგორც ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში.

კონსოლიდაციის მიზნებისთვის ელემინირებული ტრანზაქციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგენის მომზადებისას ელიმინირებულია შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და ამ ტრანზაქციების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ან ზარალი.

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებული პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადდა კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ინფორმაციის მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომელთა მიმართ შედარებით მაღალი დონის განსჯის გამოყენებაა საჭირო, რთულია ან სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაციისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოითხოვს.

მსს ფასს სტანდარტების პირველად შემოღება.

ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მას წარსულში არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე

სამუშაო ვალუტა, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (GEL). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

უცხოური ვალუტით გამოწვეული ოპერაციები, ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის სამუშაო ვალუტისგან (ლარი) განსხვავებული, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოური ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის

არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბრისათვის ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2,7020 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 2,8844 (2021 წლის 31 დეკემბრისთვის ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3,0976 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3,5040) არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილი არიან ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

ურთიერთგადაფარვა, ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების უირიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულებების ანგარიშსწორების განსაზღვრა. შემოსავლის და ხარჯის ურთიერთ გადაფარვა ხდება მოგების და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად გამჟღავნებული არ არის კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ამონაგების აღიარება, საქონლის ან მომსახურების მიწოდების შედეგად წარმოშობილი შემოსავალი აღიარებულია შემოსავლებში შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გაცვლისას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

უცხოური ვალუტა, ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკუროსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

გადასახადები

i) მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს

მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულები წმინდა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

ii) საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიეკუთვნებადი ხარჯები).

თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილის“ მეთოდით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპოცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით

ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

ამ ანგარიშში აღწერილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები, დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებების და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს, როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო

კანონმდებლობის სახელმძღვანელოებისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანია დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა დაარიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობას და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

ფინანსურ ანგარიშგების შენიშვნები

ამონაგები

	2022	2021	2020
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	14 271 371	9 730 982	6 663 091
სხვა შემოსავალი	-	-	-
სულ შემოსავალი	14 271 371	9 730 982	6 663 091

ფული და ფულის ექვივალენტები

	2022	2021	2020
ნაღდი ფული სალაროში	3 550	18 780	1 310
ეროვნული ვალუტა ბანკში	130 400	125 958	65 623
უცხოური ვალუტა ბანკში	58 277	74 627	3 519
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	192 227	219 366	70 452

სავაჭრო მოთხოვნები

	2022	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები	2 280 451	3 896 919	1 974 277
სხვა მოთხოვნები	-	-	-
სულ სავაჭრო მოთხოვნები	2 280 451	3 896 919	1 974 277

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის ვადა დაახლოებით 30-90 დღეა, რომელსაც არ ერიცხება პროცენტი.

ხელმძღვანელობა მოთხოვნების დაფარვიანობას აფასებს წარსული გამოცდილებისა და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. თუმცა შესაძლოა მათი დაფარვის რეალური მაჩვენებელი განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მოლოდინებისგან.

მარაგები

	2022	2021	2020
მზა პროდუქცია	-	-	-
ნედლეული და სახარჯი მასალები	4 148 827	2 633 073	1 516 408
სულ მარაგები	4 148 827	2 633 073	1 516 408

სასესხო ვალდებულებები

	2022	2021	2020
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	17 483 494	7 990 749	5 436 600
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	1 021 985	102 221	1 962 611
სულ სასესხო ვალდებულებები	18 505 479	8 092 970	7 399 211

სავაჭრო ვალდებულებები

	2022	2021	2020
მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებები	4 611 510	41 344	797 526
სხვა ვალდებულებები	-	-	79 509
სულ სავაჭრო ვალდებულებები	4 611 510	41 344	877 035

ძირითადი საშუალებები და დარიცხული ცვეთა

	2022	2021	2020
სულ ძირითადი საშუალებები	16 044 466	9 147 464	5 601 952
სულ დარიცხული ცვეთა	2 701 641	3 506 807	3 182 113

მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოიშობა, მაშინ როდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარ გადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორც კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება.

რისკების მართვა

ა) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას კომპანიაზე ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის კომპანიის მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და

კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. კომპანიას მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვერელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი კომპანიას ძირითადად წარმოეშევა სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან.

საკრედიტო რისკის გავლენა

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის კომპანიის მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, კომპანიას ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე - სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკებში, რომელიც ასევე ამყარებს კომპანიის ლიკვიდურობას.

ე) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ვ) კაპიტალის მართვა

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, კომპანია არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. კომპანიის კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებენ მისი მფლობელები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები არ დაფიქსირებია.

2022 წლის თებერვალში, უკრაინაში დაწყებულ საომარ მოქმედებებსა და რუსეთის ფედერაციისათვის დაწესებულ საერთაშორისო სანქციებს კომპანიის საქმიანობაზე გავლენა არ მოუხდენია და შესაბამისად 2022 წლის ანგარიშგებაზეც არ მოუხდენია გავლენა.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ გამოსაცემად დაამტკიცა 2023 წლის 30 სექტემბერს.